

ნანა იოსელიანი ♦ სოფიო ქეზურია

# სელოვნება

მოსწავლის წიგნი

7



გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს.

# სარჩევნი

## პრეისტორიული ხელოვნება

პროლოგი	7
გარემო და ხელოვნება	8
პალეოლითი	8
რას ხატავდა პრეისტორიული ადამიანი	9
რატომ ხატავდა პრეისტორიული ადამიანი	10
ტასილის ნაკრძალი	11
ავსტრალიური რენტგენი	12
გადაძახილი დროსა და სივრცეში	13
რა მოეწონა პიკასოს	14
დიდი დედა	19
მეგალითები	22

## ძველი ცივილიზაციები

პროლოგი	26
---------	----

### შუმერები

ურის ზიქურათი	28
ურის შტანდარტი (ძვ.წ. 2600-2400 წწ.)	30
შუმერული მუსიკა	31
თხა ეკალბარდებში	32
დედოფალ პუაბის გარდერობი	33
შუმერული მოდა	34
ურის სამეფო თამაში	36
ეპილოგი	40

### ძველი ეგვიპტე

41

არქიტექტურა	43
მასტაბადან პირამიდამდე	44
გიზას პირამიდები	46
დეირ-ელ-ბაჰრის კომპლექსი	49
კარნაკი და ლუქსორი	51
ძველი ეგვიპტის ქანდაკება	52
ენნატონის (ამენჰოტეპის) რეფორმა	57

ტუტანხამონის სამარხი	59
მინიატიურული ქანდაკება	60
მხატვრობა	61
ეგვიპტოლოგობანა	67

## ეგვიპტური კულტურა

პროლოგი	72
მხატვრობა	74
ეგვიპტური დიზაინი	77
ეგვიპტური კერამიკა	80
გემა	82
ოქრომრავალი მიკენი	84
ამ დროს საქართველოში	88

## ანტიკური ხანა

პროლოგი	92
---------	----

### არქაიკა

კერამიკა	94
შავფიგურიანი კერამიკა	96
ნითელფიგურიანი კერამიკა	98
არქაული ქანდაკება	102

### ადრეული კლასიკა (ძვ.წ. 499-449 წწ.)

ადრეული კლასიკის კერამიკა	104
ადრეული კლასიკის ქანდაკება	106

### მაღალი კლასიკა (ძვ.წ. 450-404 წწ.)

მეცნიერება და ხელოვნება	110
პოლიკლეტოსის კანონი	112
მაღალი კლასიკის კერამიკა	116
ორდერი – არქიტექტურის სტილი	120
ტაძრების ტიპები	125
აკროპოლისი	126
პართენონი და მეცნიერება	128

პართენონი – ხელოვნებათა სინთეზი . . . . .	131
ფიდიასი . . . . .	131
მარმარილოთი ნაამბობი მითები. . . . .	133

**გვიანი კლასიკა (ძვ.წ. 404-323 წწ.)**

გვიანი კლასიკის ქანდაკება . . . . .	136
პრაქსიტელესი. . . . .	137
სკოპასი . . . . .	138
ლისიპოსი . . . . .	139
თეატრი . . . . .	140

**ელნიზმი**

ელენისტური ხანის ქანდაკება. . . . .	146
ვენერა მილოსელი . . . . .	148
ამ დროს საქართველოში. . . . .	149

**რომი**

ეტრუსკები. . . . .	154
ბეტონი . . . . .	157
კოლიზეუმი . . . . .	158
ტრიუმფალური თაღები . . . . .	160
აკვედუკები . . . . .	163
პანთეონი . . . . .	164
ტრაიანეს სვეტი . . . . .	166
ვერისტული პორტრეტი . . . . .	168
ტოგატუსები . . . . .	169
ცხენოსნები . . . . .	170
ვეზუვის ფერფლის ქვეშ . . . . .	172
ქალაქური პეიზაჟი . . . . .	173
ამ დროს საქართველოში. . . . .	178
უფლისციხე . . . . .	181

**ვანდალიზმი**

პროლოგი . . . . .	186
ჰეროსტრატე . . . . .	187
ალექსანდრიის ბიბლიოთეკა . . . . .	188
განადგურებული ცივილიზაციები . . . . .	189
ილბლიანი არქეოლოგი . . . . .	192
ერაყის განძი . . . . .	194
პალმირა . . . . .	196
ყველაზე დიდი ქანდაკება . . . . .	198
ფაშიზმი და ხელოვნება. . . . .	200
ფარაონ ტუტანხამონის ნილაბი. . . . .	201
შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმში. . . . .	202
ბაგრატის ტაძარი . . . . .	204
რევოლუცია . . . . .	206
თბილისის სამხედრო ტაძარი. . . . .	207
ვანდალიზმის სხვადასხვა ფაქტი . . . . .	208
ვენეციის ქარტია. . . . .	216

**გრაფიტი**

პროლოგი . . . . .	218
ბენკსი . . . . .	220
ბასკია . . . . .	221
გაგომა. . . . .	220
ეკოლოგიური გრაფიტი. . . . .	224
მხიარული სამყარო . . . . .	226
ელ სიდი. . . . .	228
ლექსიკონი: . . . . .	232

თუ ხარ ცნობისმოყვარე და გინდა აღმოაჩინო სამყარო მთელი თავისი მშვენიერებითა და „უთვალავი ფერით“, თუ გაინტერესებს, რა ალამაზებს ცხოვრებას და როგორ შეგიძლია მიიღო ამაში მონაწილეობა, მაშინ ეს ნიგნი შენთვის დაინერა. აქ შეიტყობ, როგორ გადადგა ადამიანი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები, შეიცნო სამყარო, მიაგნო გარემოსთან ჰარმონიას და შედგა კულტურულ საზოგადოებად. ყველაფერ ამას შენ ხელოვნების ნაწარმოებები გიამბობენ. დააკვირდი, ისწავლე, შექმენი და ცხოვრება შენთვის ბევრად უფრო სავსე, საინტერესო, სახალისო, მრავალფეროვანი და მდიდარი გახდება.



## პრაქტიკული ხელოვნება

- როგორ მოქმედებს გარემო ადამიანზე? გარემოს რა ფაქტორები ზემოქმედებენ ხელოვანის შემოქმედებაზე?
- როგორი იყო პირველყოფილი ადამიანის გარემო? როგორია შენი დღევანდელი გარემო?
- რატომ გაჩნდა ხელოვნების სხვადასხვა დარგი?
- რას და რატომ გამოსახავდნენ პირველყოფილი ადამიანები? რისი ასახვა გინდა შენ?
- რა მხატვრული საშუალებებით გამოსახავდნენ პირველყოფილი ადამიანები გარემოზე დაკვირვების შედეგებს?
- როგორ შეიცვალა სახვითი საშუალებები და ხერხები მას შემდეგ? რა მსგავსება და განსხვავებაა პირველყოფილ და დღევანდელ ხელოვნებას შორის?
- რა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები შეგიძლია გამოიყენო გარემოზე დაკვირვების შედეგებისა და საკუთარი დამოკიდებულების გადმოსაცემად?
- შეუძლია თუ არა ადამიანის შემოქმედებას ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და როგორ?
- რა ბუნებრივ რესურსებს იყენებდა პირველყოფილი ადამიანი შემოქმედებით საქმიანობაში?
- იყენებენ თუ არა თანამედროვე ხელოვანები ბუნებრივ რესურსებს შემოქმედებით საქმიანობაში? რა მასალებს იყენებ შენ?
- რა მასალებს იყენებენ თანამედროვე მხატვრები?
- როგორ შეცვალა მხატვრული ხერხები ტექნოლოგიების განვითარებამ?
- როგორ ფერებს იყენებდნენ პირველყოფილი მხატვრები? როგორ ფერებს იყენებენ თანამედროვე მხატვრები? როგორ ფერებს არჩევ შენ?





## პროლოგი

გარემო ყოველთვის აისახება ხელოვნების ხასიათზე. გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ბუნება და მისი რესურსები, კულტურა, ისტორიული მოვლენები, სოციალური მდგომარეობა, აღმოჩენები, – ეს ყველაფერი ერთდროულად აყალიბებს შემოქმედის აზროვნებასა და თვალსაზრისს. შემოქმედისა, რომელსაც ფანტაზია არ ასვენებს და გარემოდან მიღებული შთაბეჭდილებებით ქმნის ნაწარმოებს. ყველა ეპოქა ქმნის თავისი დროის შესაბამის ხელოვნებას და აქ გამონაკლისი არ არსებობს. ნუ იფიქრებ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ამომწურავია. უბრალოდ, ვეცადეთ, რამდენიმე საკვანძო ნიმუშით გვეჩვენებინა, რომ ყველა დროში ხელოვნება გარემოს სარკეა.

დაბეჭდვით ვერავინ იტყვის, ზუსტად როდის და რატომ გაჩნდა ხელოვნება. მაშინ დამწერლობა არ არსებობდა და წერილობითი წყაროები არ იქმნებოდა. ამიტომ მეცნიერებმა ამ ხანას პრეისტორიული უწოდეს. ისტორიკოსებმა კაცობრიობის განვითარების ეტაპები დროით ჩარჩოებში მოაქციეს, თუმცა, ეს თარიღებიც პირობითია – სხვადასხვა კულტურამ სხვადასხვა დროს გაიარა ეს პერიოდები. მაგალითად, აზიასა და აფრიკაში პირველყოფილმა საზოგადოებამ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებამდე იარსება, ხოლო ევროპა-სა და ამერიკაში – ძვ.წ. I ათასწლეულამდე. თუმცა, ზოგიერთ ადგილას დღემდე არიან ტომები, რომლებიც თემურ წყობილებაში იმყოფებიან და ჯოგებად ცხოვრობენ.

### ქვის ხანის პერიოდები

მაშ ასე, მიახლოებითი პერიოდიზაციით, ქვის ხანის ეტაპებია:

პალეოლითი (ძველი ქვის ხანა) – ძვ.წ. 1,6 მლნ-12000 წწ.

მეზოლითი (შუა ქვის ხანა) – ძვ.წ. 12000-6000 წწ.

ნეოლითი (ახალი ქვის ხანა) – ძვ.წ. 7000-4000 წწ.



ქლიბები



ნემსები



სალამური



ნეკნის ძვალზე ამოტვიფრული ცხოველები




მამონტის ეშვისგან გამოთლილი ბიზონი

### პალეოლითი

პალეოლითის ადამიანი სარჩოს, ძირითადად, ნადირობით მოიპოვებდა. ცხოველი და ადამიანი არსებობისთვის იბრძოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ცხოველი უფრო ძლიერი იყო, ადამიანი გონიერებით ჯობნიდა. ცხოველი მისთვის საფრთხესაც წარმოადგენდა და საკვებსაც. როდესაც ნანადირევს ატყავებდა, მის ანატომიასაც ეცნობოდა. ტყავს ტანთ იცვამდა, ლამით ზედ წვებოდა, მეორეს გადაიფარებდა და ხვალინდელ ნადირობაზე ფიქრით იძინებდა. გამოქვაბულს ცხოველის ცეცხლწაკიდებული ცხიმით ანათებდა. ნადირისა და ფრინველის ძვლებისგან სალამურს, ნემსს, ქლიბსა და სხვა ნივთებს თლიდა. მხეცების ეშვებს მკერდზე იკიდებდა. შენ წარმოიდგინე, კედლების მოსახატავადაც ცხოველურ ცხიმს იყენებდა, რომ საღებავი საჭირო სისქისა და სიმკვრივის ყოფილიყო.

ცხოველზე ნადირობა და მისგან თავდაცვა პირველყოფილი ადამიანის მთავარი საზრუნავი იყო. სხვა რა უნდა აესახა, თუ არა თავისი ფიქრის მთავარი საგანი?

- დააკვირდი ბიზონების ბრალა, ბრაზიან თვალებს, წვეტიან, წამახულ რქებს, აჯაგრულ ზურგებს! ისინი შეტევისთვის ემზადებიან, რომ თავი გადაირჩინონ.



ალტამირას მღვიმე, ესპანეთი

## რას ხატავდა პრეისტორიული ადამიანი



რუფინიაკი



შოვე




ლასკო



შოვე



ლასკო



ლასკო

პალეოლითის ხანის მხატვრები ცხოველთა ანატომიისა და თვისებების საუკეთესო მცოდნენი იყვნენ. გარშემო ხელმისაწვდომი მწირი საშუალებებითა (მინერალური და მცენარეული საღებავებით) და მარტივი მხატვრული ხერხებით ისინი შესანიშნავად გადმოსცემდნენ ნადირის მასას, ფორმებს, პროპორციებს, მოძრაობებს, ხასიათს. ეს ნახატები გვიჩვენებენ მხოლოდ მთავარს, მხეცის არსს, და არა მის ზუსტ გარეგნობას. ეს ცხოველებზე საათობით დაკვირვების შედეგია! რა ოსტატობითა და, ამავე დროს, მარტივი ხერხებით გადმოგვცემს პირველყოფილი მხატვრები ცხოველებს!

## რატომ ხატავდა პრეისტორიული ადამიანი

1940 წელს, საფრანგეთში, ლასკოს სკოლის მოსწავლეებმა მღვიმე აღმოაჩინეს. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ამ გამოქვაბულებში არავის უცხოვრია. მაშ, რატომ მოხატეს მისი კედლები პირველყოფილმა ადამიანებმა? ზოგიერთის აზრით, ცხოველთა გამოსახულებებითა და ნადირობის სცენებით შემკულ „დარბაზებში“ მაგიური რიტუალები სრულდებოდა, რათა ნადირობა კარგად წარმართულიყო. შესაძლოა, ამ მოქმედებას თან ახლდა სალამურზე დაკვრა და ცეკვაც. იმასაც ვარაუდობენ, რომ აქ ნადირობის სცენა თამაშდებოდა და კედელზე ანატკეჩები შუბის დარტყმამ გამოიწვია. მონადირეები ხომ დღემდე ისვრიან მიზანში, რომ ხელი გაიწაფონ? ან იქნებ ეს მათი წარმატებული ნადირობის ამსახველი სატრაბახო ამბის თხრობაა? ისევე როგორც დღეს დიპლომებს კიდებენ ხოლმე კედლებზე – ნახეთ, რა ყოჩალი ვარო! ან სულაც, ეს ნახატები მომავალი მონადირეების, ბიჭების სასწავლო თვალსაჩინოებაა – ტესტი შუბის მოხერხებულად ტყორცნაში? პრეისტორიულ ხელოვნებასთან დაკავშირებით კითხვა მეტია, ვიდრე პასუხი.



ლასკოს გამოქვაბული, საფრანგეთი


დააკვირდი დაჭრილ მონადირეს. მას მოუსწრია და ბიზონისთვის მუცელი გაუფატრავს. ლასკოში ეს ადამიანის ერთადერთი გამოსახულებაა. ცხოველები მეტი ცოდნითაა გადმოცემული, ვიდრე უბრალო ხაზებით დახატული კაცუნა.

თუმცა ამ შემთხვევაში, მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, რომ პრეისტორიულ მხატვრებს გამოსახულებების ერთ ამბად გადმოცემა არ შეეძლოთ, ეჭვქვეშ დგება. ლასკოს ეს სცენა აშკარად უარყოფს მათ მოსაზრებას, თუმცა, გამონაკლისი ხომ თითქმის ყველა წესს აქვს.

- რატომ „დაჩაგრეს“ ადამიანი ლასკოს მხატვრებმა? იქნებ ეს დამწყები მონადირეების ჭკუის დასარიგებლად დახატეს, ასეც ხდებოდა?
- „იკითხება“ თუ არა სიუჟეტი გამოქვაბულების მხატვრობაში?

## ტასილის ნაკრძალი

ტასილი ნ'აჟერის (ალჟირი) პეტროგლიფები\* მოწმობს, რომ საჰარის ამ უსიცოცხლო უდაბნოში ოდესლაც, ნეოლითის ხანაში, ნაყოფიერი სავანა იყო საძოვრებიანი და ტყიანი პეიზაჟებით, ტბებითა და მდინარეებით. ხალხი საქონელს მწყემსავდა, ნადირობდა, მოსავალს კრეფდა, თევზაობდა და მაგიურ რიტუალებს ასრულებდა. მათი საქმიანობა მრავალფეროვანი, ბუნებრივი პოზებითა და ცოცხალი მოძრაობებითაა გადმოცემული. იქვე დასეირნობდნენ სპილო, მარტორქა, ჟირაფი, ჰიპოპოტამი, ნიანგი, ანტილოპა, კამეჩი, სირაქლემა და სხვ. ზოგიერთ ნახატზე გოლიათური ზომის უცნაური ადამიანებია გამოსახული – თითქოს ანტენიანი სკაფანდრები ახურავთ. ნახატების დათარიღება გვიჩვენებს, რომ ადამიანები აქ ძვ.წ. VII ათასწლეულიდან ახ.წ. VII საუკუნის ჩათვლით სახლობდნენ. შესაბამისად, მღვიმეების მხატვრობა ჩრდილოეთ აფრიკის ისტორიის მთელი მატრიანია!



ხატავდნენ თითებით, ფუნჯებით, ბუმბულით. ხატავდნენ ცხიმში შეზეულილი მინერალური პიგმენტებით. ხატავდნენ ქვიშაქვის ზედაპირზე, რომელიც ქალაქ-დივით ინოვს საღებავს. ნახატი ხან კონტურულია, ხან სილუეტური, მაგრამ ძალიან მოქნილი, მეტყველი და დინამიკური.

ტასილის მხატვრობაზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ დროს ადამიანი მეტ-ნაკლებად მოერგო გარემოს – მოიშინაურა ცხოველები, მონადირეები შემუშავებული „სცენარით“ ნადირობენ, აცვიათ ტანსაცმელი და უკეთიათ თავსაბურავი, სხეულს ისვირინგებენ, აქვთ ჩამოყალიბებული რიტუალები, ადამიანებს შორის ურთიერთობები იკითხება. აქ საზოგადოება განვითარების ახალ ეტაპზეა გადასული. და ეს ყველაფერი უზარმაზარ ფართობზეა ნაამბობი – ტასილის ნაკრძალი ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოს ღია ცის ქვეშ არსებულ მუზეუმებს შორის. მას 72000 კმ<sup>2</sup> უკავია.






## ავსტრალიური რენტგენი

კიდევ უფრო უცნაურია ავსტრალიის აბორიგენების მხატვრობა. კაკადუს ეროვნული პარკის ნახატები დაახლოებით 40000 წლის წინ შესრულდა. მეცნიერები თარიღს დიდი ორჭოფობით ასახელებენ, რადგან ამ საღებავის ასაკის დადგენა შეუძლებელია. პიგმენტის ანალიზმა აჩვენა, რომ ნახატები ცოცხალი სოკოთია შესრულებული! როგორც ჩანს, თავდაპირველი პიგმენტები ორგანულ მიკროორგანიზმებს, სოკოებს შეიცავდა. სპორებით გამრავლებულმა შთამომავლობამ მუტაცია განიცადა – სოკო პიგმენტით შეიღება. შეფერილი სოკოს ახალმა თაობამ ძველი შეჭამა და მისი ადგილი დაიკავა. მერე კი თავადაც მომავალი თაობის საკვებად იქცა. გამოდის, რომ სოკოს „კანიზალი“ თაობები ნახატების სადარჯოზე დგანან, ადგილიდან ფეხს არ იცვლიან და მომავლისთვის ინარჩუნებენ! მეცნიერებმა მათ „ცოცხალი პიგმენტი“ შეარქვეს.



საოცარია ისიც, რომ მაშინ, როდესაც რენტგენის აპარატი არ არსებობდა, ავსტრალიურ ნახატებზე ადამიანებისა და ცხოველების ხერხემალი, ნეკნები და შინაგანი ორგანოები დახატული. მხატვარი სამყაროს ღრმა ცოდნით ტრაბახობს – ცოცხალ არსებებს შიგნიდან ხატავს!

ავსტრალიურ მღვიმეებში „უჩონჩხო“ ანუ ხორცშესხმული, სილუეტური ნახატებიცაა მიკვლეული. შეხედე, როგორ მხიარულად გვესალმებიან ეს პრეისტორიული აბორიგენები!



დღეს ინგლისელი ფოტოხელოვანი ნიკ ვიზი მსგავს ნამუშევრებს რენტგენოგრაფიის მეშვეობით ქმნის.

## გადაძახილი დროსა და სივრცეში

ციმბირში, ხაკასიის სტეპებში აღმოჩენილ სტელეებზე\* უცნაური პეტროგლიფებია ამოტვიფრული. მზის სიმბოლოები, სამთვალა სახეები, ფანტასტიკური ცხოველები. ფიქრობენ, რომ ისინი 5000 წლის წინანდელმა ადამიანებმა ამოკანრეს. რას ნიშნავდა ეს გამოსახულებები, რისი თქმა უნდოდათ? გამოთქვი ვარაუდი, ვინ იცის, იქნებ სწორედ შენ ამოხსნა ეს და პრეისტორიული ხელოვნების სხვა გამოცანებიც.



მიიჩნევა, რომ XX ს-ის ამერიკელი გრაფიკის მხატვრის, ჟან მიშელ ბასკიას შემოქმედება ლათინოამერიკული ხალხური ხელოვნებითაა შთაგონებული. მით უფრო საინტერესოა, რომ სხვადასხვა დროში, გვარიანად დაშორებულ კონტინენტებზე, ხელოვანები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე მხატვრულ ხერხებს მიმართავენ, რომ ნამუშევარს მძაფრი, მოურიდებლად უხეში ექსპრესია შესძინონ.

- შეადარე ხაკასიის პეტროგლიფების და ბასკიას ნახატები ერთმანეთს. რა საერთოს ხედავ მათში?
- შეადარე სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ნიღბები ხაკასიის პეტროგლიფებს და ბასკიას ნახატს.



მაიას  
ცივილიზაცია,  
ძვ.წ. IX ს.



აცტეკების  
ცივილიზაცია, ახ.წ.  
1400 წ.



ესკიმოსური  
ნიღაბი, ახ.წ. XIX ს.



ნასკას ცივილიზაცია, პერუ,  
ძვ.წ. II ს.

## რა მოეწონა პიკასოს


პრეისტორიული მხატვრობის სიმარტივე ის პირობითობაა, რომელსაც XX ს-ში ფიროსმანი გუმანით მიაგნებს – რამდენიმე მონასმით დახატავს ჟირაფსაც, ტახსაც და წინილასაც!

პაბლო პიკასომ პრეისტორიული ნახატები იმდენად სრულყოფილად მიიჩნია, რომ თქვა: „ალტამირას შემდგომ რაც შექმნილა, ყველაფერი დაკნინებააო!“


ამ ბავშვურმა გულწრფელობამ და სიმარტივემ მოხიბლა პიკასო ფიროსმანის ნამუშევრების გაცნობისას. სწორედ ამის მიღწევას ცდილობდნენ XX ს-ის ევროპელი მხატვრები საკუთარი შემოქმედებით – ფორმულამდე დაყვანილ, მოკლედ და სხარტად გადმოცემულ შთაბეჭდილებას.




პემ-მერლი



ტასილი



პაბლო პიკასო



ნიკო ფიროსმანი

